კრიტერიუმები სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდიის მისანიჭებლად:

1. სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდია „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა შეიძლება მოიპოვოს:

ა) სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე ზეპირი გამოცდების საფუძველზე

ბ) სამაგისტრო პროგრამის პირველი, მეორე და მესამე სემესტრის აკადემიური მოსწრების საფუძველზე;

2. სტივენ ჯონსის სტიპენდიის გაცემა ხდება სემესტრულად, თითოეულ სემესტრში სტიპენდიას მიიღებს 2 სტუდენტი.

3. „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე **შემოდგომის სემესტრში** ერთი სტიპენდია მიენიჭება სტუდენტს, რომელიც პროგრამაზე მიღებისას ზეპირი გამოცდის საფუძველზე დაიკავებს რეიტინგში მე-4 ადგილს (რეიტინგში I-III ადგილზე მყოფ სტუდენტებს სტიპენდიას უნიშნავს კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი), ხოლო მეორე სტიპენდია მიენიჭება სტუდენტს, რომელიც წინა სემესტრის აკადემიური მოსწრებით რეიტინგში ასევე დაიკავებს მე-4 ადგილს (რეიტინგში I-III ადგილზე მყოფ სტუდენტებს სტიპენდიას უნიშნავს კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი).

4. „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე **გაზაფხულის სემესტრში** სტიპენდია მიენიჭებათ წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების საფუძველზე შედგენილ რეიტინგში მე-7 და მე-8 ადგილზე მყოფ 2 სტუდენტს (რეიტინგში I-VI ადგილზე მყოფ სტუდენტებს სტიპენდიას უნიშნავს კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი).

5. თითოეულ სტუდენტზე გასაცემი სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება სემესტრში 1200 ლარის ოდენობით

6. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების რეიტინგს ადგენს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი პერსონალური ინფორმაციის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით;

7. სტიპენდიის მიღების მომენტში მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი;

8. სტიპენდიის მოცულობა შესაძლოა მოდიფიცირდეს სტივენ ჯონსის სახელობის სასტიპენდიო ფონდში აკუმულირებული თანხის შესაბამისად;

9. სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭო ამავე ფაკულტეტის დეკანის ინიცირების საფუძველზე.